www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების დონის მაჩვენებლები

სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები, 2025

25.05.2026
www.geostat.ge

25.05.2026

სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები 2025 წელი

აბსოლუტური სიღარიბე

2025 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) წინა წელთან შედარებით 2.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.1 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2012-2025 წლებში.

დიაგრამა №1

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი
(%)



2025 წელს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 1.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 6.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 3.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.0 პროცენტს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქ-სოფლის მიხედვით, 2012-2025 წლებში.

დიაგრამა №2

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



2025 წელს, სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. კერძოდ, 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაჩვენებელმა 9.2 პროცენტი შეადგინა (-2.9 პროცენტული პუნქტი), 18-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 7.0 პროცენტი (-2.3 პროცენტული პუნქტი), ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში - 5.2 პროცენტი (-1.5 პროცენტული პუნქტი).

აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალებისათვის 2.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებისათვის 2.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.1 და 7.2 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად.

ფარდობითი სიღარიბე

2025 წელს მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 17.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 5.2 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მედიანური მოხმარების 60 პროცენტის და მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2012-2025 წლებში.

დიაგრამა №3



ჯინის კოეფიციენტები

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა, როგორც მთლიანი შემოსავლების, ასევე მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, შემცირდა 0.01-ით და 0.34 შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების და მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, 2012-2025 წლებში.

დიაგრამა №4

ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების და მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge